საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 06/30-09 „21" 02 2018 წ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება 6/2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის # 1 ოქმით) 30-ე მუხლისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების 2018 წლის 19 თებერვლის სხდომის [illegible] ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი გიორგი გოგსაძე;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება და შესაბამისი სტრუქტული ერთეულებისთვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის დეკანის სამდივნოს.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ ფხაკაძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მიმართულების პროფესორის იოსებ სალუქვაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 19 თებერვალს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევნები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელად ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა პროფესორი გიორგი გოგსაძე.

წერილს თან ერთვის სხდომის ოქმი.

სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი — იოსებ სალუქვაძე

19.02.2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსავალი N 3062/30 3 სა.
"19" 02 2018 წ.
ხელმოწერა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის საბჭოს

სხდომის ოქმი #

19 თებერვალი, 2018

სხდომას ესწრებოდა: დეპარტამენტის საბჭოს 12 წევრიდან – 9

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: ი. სალუქვაძე,

ასოცირებული პროფესორები: თ. დოლბაია, ვ. მელიქიძე, ი.იაშვილი , ა. სახვაძე, გ. კვინიკაძე, ნ. პავლიაშვილი

ასისტენტ-პროფესორები: დ. სიჭინავა ვ. ჩხაიძე

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი ი. სალუქვაძე, ხოლო **მდივნად**- ასოცირებული პროფესორი ნ. პავლიაშვილი

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევნები .

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის, პროფესორ ი. სალუქვაძის ინფორმაცია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის ორი წლის ვადით არჩევის შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საარჩევნო პროცესი.

ი. სალუქვაძემ სთხოვა საბჭოს წევრებს საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურების დასახელება.

ასოცირებულმა პროფესორმა ია იაშვილმა დაასახელა პროფესორ გიორგი გოგსაძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევა განხორციელდეს დახურული კენჭისყრით.

სხდომის თავმჯდომარე ი. სალუქვაძემ კენჭისყრაზე დააყენა გ. გოგსაძის კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო მიმართულების საბჭოს 9 წევრმა და ყველა წევრმა ხმა მისცა გ. გოგსაძის კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელად ერთხმად არჩეული იქნა პროფესორი გიორგი გოგსაძე;
2. ეთხოვოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს თამარ დოლბაიას, დაამტკიცოს პროფესორი გიორგი გოგსაძე საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარე:

ი. სალუქვაძე, პროფესორი

სხდომის მდივანი:

ნ. პავლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი